სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის

ბრძანება №27

2024 წლის 22 ნოემბერი

ქ. თბილისი

,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლისთვის სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭებისა და მისი სპეციალურ წოდებაში დაქვეითების წესის დამტკიცების შესახებ“ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2022 წლის 7 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლისთვის სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭებისა და მისი სპეციალურ წოდებაში დაქვეითების წესის დამტკიცების შესახებ“ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2022 წლის 7 ივნისის №12 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 07/06/2022, სარეგისტრაციო კოდი: 080240000.79.092.016012) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და აღნიშნული წესის დანართის

1. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეს, სამსახურის საგამოძიებო დანაყოფისა და სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) თანამშრომელს (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) სპეციალური წოდება ენიჭება თანამდებობაზე დანიშვნასთან ერთად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი **კარლო კაციტაძე**